განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ-ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

რაინდი როდონაია

წევრ(ებ)ი:

ეკა თაბუაშვილი

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

[1]**შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ -ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციოკოდი	248417663

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ქ.ბათუმი, მამია ვარშანიძის ქუჩა N209, ზედაღელის ქუჩა N7
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi28@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის N466781 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის N466781 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს - რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე) და ეკა თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „ა" და "დ" პუნქტების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება სსიპ-ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის დოკუმენტების შესწავლით (გეგმური მონიტორინგი). წარმოების ფარგლებში სკოლამ უზრუნველყო სტანდარტის შესაბამისი

მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
640	596

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაფიქსირებულ ხარვეზს, დაეთანხმა და წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულება. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი მტკიცებულება მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ცვლილება ასახა დასკვნაში და სტანდარტი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველია სკოლის მისიის ფორმულირება იყოს უფრო მოკლე
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სასურველია შვიდწლიანი გეგმის სტრატეგიულ მიმართულებები და ერთწლიანი სამოქმედო გეგმ სტრატეგიული მიზნები შეესაბამებოდეს ერთმანეთს.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ-ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმასა და 2023-2030 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმაში. მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია ორიენტირებულია დამოუკიდებელი, ჰარმონიული პიროვნების აღზრდაზე, რომელსაც განუვითრდება ყველა ის უნარი, რაც აუცილებელია ახალგაზრდობისათვის საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების განსაზღვრისათვის, ასევე შეძლებს დემოკრატიული ფასეულობების გაზიარებასა და თანამედროვე გამოწვევებისთვის მზადყოფნას, რაც შეესაბამება ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ მოქალაქეობრივი, სოციალური და პიროვნული კომპეტენციების განვითარებას. სკოლის მისიაა: მოსწავლეებს მისცეს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი ისეთი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, კომუნიკაბელური, ტოლერანტული ღირებულებების მატარებელი, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოზარდის ფორმირებასა და მომავალი თაობის მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაციას. სკოლის ხედვაა: თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენებით, ისეთი თაობების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ თვითრეალიზებასა და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას მუდმივად განვითარებად სამყაროში, რაც ასევე შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **რჩევა**: სასურველია სკოლის მისიის ფორმულირება იყოს უფრო მოკლე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ-ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა, სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერ და პიროვნულ

განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისია ორიენტირებულია დამოუკიდებელი და დემოკრატიული ფასეულობების მქონე პიროვნების აღზრდაზე, რაც გულისხმობს ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობასა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას. სკოლის ხედვა ხაზს უსვამს უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოში, პროფესიონალთა გუნდის მიერ, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენებით, ისეთი თაობების აღზრდას, რომლებიც შეძლებენ თვითრეალიზებასა და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას მუდმივად განვითარებად სამყაროში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დირექტორის ბრძანებით შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელთაც თავდაპირველად შეისწავლეს სასკოლო საზოგადოების, თემის აზრი, კითხვარების საფუძველზე დაადგინეს სკოლის საჭიროებები, შესაძლებლობები, რაც ასახეს სკოლის ფილოსოფიაში, სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით შემუშავებულია სტრატეგიული გეგმა, რომელიც პასუხობს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, აღნიშნული საკითხი ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექტორმა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე გააცნო სკოლის ფილოსოფია, ასევე კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე გაზიარებულ იქნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლას დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულ მხარეებს და შემუშავებული დოკუმენტების გაზიარების მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით, ასევე განთავსებულია სკოლის საჯარო სივრცეში თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მიხედვით. სკოლის სახელწოდება „სსიპ-ქალაქ ბათუმისN28 საჯარო სკოლა" სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

სამეურვეო საბჭოს ოქმი მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტის შემუშავება/განხილვის შესახებ

პედაგოგიური საბჭოსოქმი მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების შესახებ

ფოტო სკოლის შენობაში (მისია ხედვა , ღირებულება)

ბრძანება სკოლის სახელწოდების განსაზღვრის შესახებ

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები.

სკოლის ვებ-გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 21 სექტემბერს(ოქმი N16) და გაზიარებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. სამოქმედო გეგმების შემუშავების წესი/მეთოდოლოგია ბრძანება N-01-03/19 და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (07.06.2023წ) დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სსიპ-ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის და მისი განხორციელების პროცესში ახდენს ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას. მიღებული წინადადებები და საჭიროებები აისახება სტრატეგიულ განვითარებისა და სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომის N16 ოქმით(21.09.2023). დოკუმენტი შვიდწლიანია, რაც პირდაპირ აკმაყოფილებს ინდიკატორის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას. სტრატეგიული გეგმის შესავალ ნაწილში მითითებულია, რომ მისი მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში. ამავე დოკუმენტში ასახულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რის საფუძველზეც შემდგომ ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები. ეს მიუთითებს, რომ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და მასში გაწერილი მიზნები თავსებადია მისიასთან და ხედვასთან. წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტი ციკლურ დაგეგმვაზეც მიანიშნებს, რადგან მისი შესავალი და მეთოდოლოგიური საფუძველი უკავშირდება საჭიროებების შეფასებას, დაგეგმვასა და შემდგომი განვითარების პროცესს. ამგვარად, სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და შეიცავს მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომა N1 (08.09.2025), რომელიც გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და კონკრეტულია. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად მონიტორინგს უწევს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გემის შესრულების საკითხს, შედეგებს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს წინაშე განიხილავს, ასევე გამოყოფს, ახალ პრიორიტეტებს და ამის გათვალისწინებით ხდება ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა. სკოლამ წარმოადგენა სამუშაო ჯგუფის ოქმი, სადაც განხილულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მასალები. სკოლის შვიდწლიან სტარატეგიული გეგმა მოიცავს 5 სტრატეგიულ მიმართულებას, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია 7 სტრატეგიული მიზნის

შესრულებაზე. **რჩევა:** სასურველია შვიდწლიანი გეგმის სტრატეგიული მიმართულებები და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრატეგიული მიზნები შეესაბამებოდეს ერთმანეთს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულია სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და კონკრეტული აქტივობების მიხედვით. აქტივობების გასწვრივ მითითებულია განხორციელების პერიოდი, მოსალოდნელი შედეგები, რესურსი და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. მაგალითად, სასწავლო პროცესის მხარდაჭერის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სხვა მიმართულებებით აქტივობები გაწერილია დროის ჭრილში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. ეს მიუთითებს, რომ გეგმა ოპერატიულად არის ჩამოყალიბებული და მისი შესრულება დაკავშირებულია კონკრეტულ ამოცანებთან. ამასთან, გეგმაში გამოყენებულია ისეთი შედეგობრივი ფორმულირებები, როგორიცაა კითხვარების ანალიზი; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის უკუკავშირი; კათედრების ურთიერთდასწრების შესახებ ოქმები, „კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა", „მხარდაჭერის ამუშავებული მექანიზმი", რაც შესრულების გაზომვის შესაძლებლობას იძლევა. რესურსების ნაწილში მითითებულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური წყაროები, რაც გეგმას რეალისტურობის ნიშნებს ანიჭებს. ამდენად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე მიბმულ აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესაბამის რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფის ოქმი

სტრატეგიული, ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის მშობლებთან გაცნობასთან დაკავშირებით საინფ. შეხვედრის ოქმი

ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების მეთოდოლოგია
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
სამეურვეო საბჭოს ოქმი N 16 სტრატეგიული განვითარების ოქმის დამტკიცება (21.09.2023 წ)
მშობელთა კრების ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ მონიტორინგი ხორციელდება ეტაპობრივად, პასუხისმგებელი პირების ანგარიშგების საფუძველზე, ხოლო შეფასება ეფუძნება შესრულების ინდიკატორების ანალიზს. ასევე გაწერილია სამეურვეო საბჭოს როლი მონიტორინგის პროცესში, რაც მიუთითებს ზედამხედველობის მექანიზმის არსებობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და იგი გაწერილია მეთოდოლოგიურ დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიასა და სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, მათ შორის ანგარიშგება, სამუშაო შეხვედრები და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა. სკოლამ წარმოადგენა სამუშაო ჯგუფის ოქმი, სადაც განხილულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის საკითხი. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება, მაგალითად

პედსაბჭოს შუალედური და წლიური ანგარიშები, შეფასების შედეგების დოკუმენტირებული ანალიზი, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ამსახველი მასალები, კათედრის სხდომის ოქმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, კათედრის სხდომებზე განხილული და შეჯამებულია სასწავლო წლის მუშაობა, ასევე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დირექტორს წარმოდგენილი აქვს ანგარიში, სადაც დეტალურადაა განხილული შესრულებული საკითხები, ასევე თუ რა გამოწვევების წინაშე დგას სასკოლო საზოგადოება. სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში არ იყო გამოქვეყნებული ვებგვერდზე და შესაბამისად, არ იყო უზრუნველყოფილი მისი საჯაროობა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში გამოქვეყნებულია ვებგვერდზე და შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანალიზი წარმოადგენს შემდგომი დაგეგმვის საფუძველს. დოკუმენტში აღწერილია შეფასება–დაგეგმვის ციკლური კავშირი, რაც უზრუნველყოფს სკოლის განვითარების უწყვეტობას. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია, რომ შესრულების შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის ბოლოს, რის შემდეგ ცხადდება შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება მომდევნო პერიოდის დაგეგმვის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

პედ. საბჭოს ოქმი სტრატეგიული განვითარების გეგმის გაზიარება
სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფის ოქმი

სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის მშობლებთან გაცნობისთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას სკოლა ახორციელებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესისა და ,,სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმის“, ასევე ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების“, სასკოლო სასწავლო გეგმის, რეფერირების განხორციელების შიდა ინსტრუქციითა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით. ბრძანებაში ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“, აღწერილია მოსწავლისა და მშობლის უფლება-მოვალეობები და სკოლის ფუნქცია-მოვალეობები. შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები. ,,სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი“ ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობას მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი თუ ვის და როგორ შეუძლია შემოიტანის განაცხადი/საჩივარი, რომელი სტრუქტურული ერთეულია უფლებამოსილი განიხილოს განცხადება/საჩივარი და რა ვადებია ამისათვის განსაზღვრული. მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ხელშეკრულებები და გაფორმებულია შეთანხმებები პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი გამოქვეყნებულია ვებგვერდზე. მოსწავლის მობილობის ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ადმინისტრაცია მშობელებს და მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, ინფორმაციის გაზიარება ასევე ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელების მეშვეობით, ელ. ფოსტის საშუალებით, კლასის საათის ფარგლებში და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, სასწავლო და დასვენების, ასევე უქმე დღეების შესახებ ინფორმაცია, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

სასკოლო სასწავლო გეგმა

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

მშობელთა კრების ოქმი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის

დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი“. ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ“, ,,მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ“ და ,,მობილობის შესახებ“ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასკოლო სასწავლო გეგმას და შინაგანაწესში განსაზღვრულია სკოლას მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გავრცელება ძირითადად ხდება სოციალური ქსელების საშუალებით, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიგოს სკოლაში მიმდინარე სიახლეები. სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ძირითადად ვებგვერდის, ელფოსტისა და სოციალური ქსელების საშუალებით, ინფორმაციის გავრცელება ასევე ხდება დამრიგებლების მიერ მშობლებთან შეხვედრების დროს. ინფორმაციის გავრცელების დროს სკოლა ზრუნავს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად არის განახლებული, ყველა დაინტერესებული პირისთვის გასაგები და თანაბრად ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

შინაგანაწესი

მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი

ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე

ბრძანება მოსწავლის მობილობის თაობაზე

ბრძანება სტატუსის შეჩერების თაობაზე

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას, რაც მოიცავს 3 სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურს და პიროვნულს. სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს სკოლა უწევს დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც უნდა გაეცნოს მოსწავლის პირად საქმეს, შეხვდეს მშობელს, შეაგროვოს ინფორმაცია მოსწავლის მიღწევების, თავისებურებების შესახებ. რაც შეეხება პირველკლასელთა ადაპტაციას, სკოლა ინდივიდუალური მიდგომებით ცდილობს პროცესების ეფექტიანად წარმართვას და ამ პროცესში რთავს მშობელს, რაც საშუალებას იძლევა პროცესი წარიმართოს სწორად და მინიმუმამდე დავიდეს ის სირთულეები რაც თან ახლავს ადაპტაციის პროცესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლაში მოსწავლის ტრანზაქციასთან დაკავშირებული პროცესების მართვის წესი", რომელიც შეიცავს პირველკლასელთა ადაპტაციის მექანიზმებს. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ, უზრუნელყოფს ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის მშობელთან ერთად სასკოლო გარემოს დათვალიერებას, მასწავლებელთა გაცნობას. სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და ინდივიდუალურად უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები. მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი და შედგენილი გეგმის მიხედვით სთავაზობს დამატებითი მხარდაჭერას და დახმარებას პირველი კლასის ორ მოსწავლეს, რომლებსაც აღენიშნებათ კითხვის ავტომატიზაციის სირთულე, ასოების ცნობის დაბალი დონე და სიტყვების შეკვრის პრობლემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ, ხოლო მშობლებს სემესტრული გამოცდებისა და მობილობის შესახებ. სკოლაში ექსტერნატის გამოცდების ჩატარებისა და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე და სოციალური ქსელის საშუალებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას ჰყავს აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელმაც მიმდინარე სასწავლო წელს განახორციელა არაერთი სამოქალაქო, საგანმანათლებლო და სპორტული ინიციატივა, რომელიც მიმართული იყო მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებასა და ჯანსაღი სასკოლო გარემოს შექმნისკენ. როგორც თვითმმართველობის ანგარიშიდან ჩანს, განხორციელდა პროექტები ,,არა ძალადობას", ,,კითხვა და ბავშვთა უფლებები", ,,აჭარის ისტორიული ქარტეხილები", ასევე ანტიბულინგის კვირეული ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა შეჯიბრებები ინტელექტუალურ და სპორტულ თამაშებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლას და პერიოდულად მონიტორინგის ჩატარებას. ასევე მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავების გზით. სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს მიღებული შედეგების ანალიზს, მის შეფასებას და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების გზების დაგეგმვას. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი და შიდა ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი ანგარიში თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

რემედიაციის პროგრამა

რემედიაციის პროგრამის გეგმა

შემაჯამებლის ანალიზი

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი

თვითმმართველობის ანგარიში

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

   იმისათვის, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის, სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მახინჯაურის საზღვაო სკოლასთან, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით: კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება, ტრენინგების, სემინარებისა და საინფორმაციო შეხვედრებსი ორგანიზება, მოსწავლეთა პროფესიული ინტერესებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა. სკოლას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ ქალაქ ბათუმის N29 საჯარო სკოლასთან, რომლის მიზანია სკოლებს შორის თანამშრომლობა მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის, საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაცნობისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

   სკოლა ზრუნავს, რათა მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებენ სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას. სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, აცნობენ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მოთხოვნად პროფესიებსა და დასაქმების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა კარიერულ დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს გეგმავს მოსწავლეების სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სკოლა კითხვარების საშუალებით ცდილობს წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი პროფესიები აინტერესებთ მათ, რათა უფრო მიზნობრივი იყოს სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები. სკოლა ასევე აწარმოებს სტატისტიკას იმის თაობაზე, მათი კურსდამთავრებულები რომელ უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ, რამდენად წარმატებული აღმოჩნდა მათ მიერ აირჩეული პროფესია, დაეხმარა თუ არა სკოლა ამ არჩევანის გაკეთებაში. მიღებული მონაცემების შეფასების საფუძველზე კი სკოლა შეიმუშავებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მემორანდუმები
კურსდამთავრებულთა სტატისტიკა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რაც უზრუნველყოფს სსსმ პირთა საჭიროებებზე ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო პროცესსა და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. მოსწავლეებს ემსახურებიან სპეციალური მასწავლებლები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. დირექტორის ბრძანებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მშობლისა და პედაგოგებისგან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაცია

ისგ გეგმები

ინტერვენციის გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას უფასო წრის სახით, სკოლაში ფუნქციონირებს დებატების კლუბი, მოქალაქეობის „გორდიას“ კლუბი, ქიმიის წრე და აგროკლუბი. ასევე სკოლას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით იჯარით გაცემული აქვს ფართი ქართული ცეკვის ფასიანი წრისა და კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის იჯარით აქვს ფართი გაცემული, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, ასევე გაცემულია თანხმობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმი

სამინისტროს თანხმობის წერილი

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 03/06/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: